ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №520167

ნომერი: AR1103399

თარიღი : 18.01.2013

გაცემის თარიღი : 28.01.2013

გაცნობის თარიღი : 28.01.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნოდარ ტოტოღაშვილი პ/ნ 01013006941
- თბილისი, მიცკევიჩის ქ. #29, კორ. 5, ბ.34

ორგანიზაცია:
- შპს ,,ნარიყალა" კოდი: 204379555

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,, ბ" ქვეპუნქტისა და მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ.

თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოს (ოქმი N3, 22.01.2013წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N3–ში (უძრავი ძეგლი) არსებული შენობის რეკონსტრუქციის ესკიზურ პროექტს რეკომენდაციით: უკეთესი იქნება თუ პროექტში გარედანაც გამოჩნდება აბანოების გუმბათები.

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ნ. ტოტოღაშვილს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქ. ნ. ტოტოღაშვილს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გორგასლის ქ. N3–ში (უძრავი ძეგლი) არსებული შენობის რეკონსტრუქციის წარმოდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.